F567/3678

იდიდე მარად ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-13 წელი

№ 13 (221)

ივლისი,

1969 წელი



ეჭვანე ცრანტასტიების დედოფალი

საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საბჭოთა კომიტეტის კლენუმის

მიმართვა

ძვირფასო მეგობრებო!

საბჭოთა ხალხი და კეთილი ნების მილიონობით ადამიანი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში 1970 წელს აღნიშნავენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ვ. ი. ლენინს — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, დიდი მოღვაწისა და მოაზროვნის, ადამიანთა ბედნიერებისათვის მგზნებარე მებრძოლის სახელი მახლობელი და ძვირფასია ყველა ხალხისათვის. ამ ადამიანის მთელი ნათელი ცხოვრება, დაუღალავი, მჩქეფარე მოღვაწეობა იყო და კვლავ არის მთელი პროგრესული კაცობრიობის დიადი და კეთილშობილური მიზნებისათვის ბრძოლის მკაფიო მაგალითი. ჭეშმარიტად ფასდაუდებელია ვ. ი. ლენინის დამსახურება მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე. ეს დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან პასუხი გასცა ყველაზე მწვავე კითხვებზე, რომლებსაც ცხოვრება აყენებს, დაგვანახვა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და კომუნიზმის ზეიმისათვის ბრძოლის ყველაზე ქმედითი ფორმები.

ვ. ი. ლენინი ხალხთა მეგობრობისათვის მგზნებარე მებრძოლი, ნამდვილი ინტერნაციონალისტი იყო; სხვადასხვა ეროვნული წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპები საფუძვლად უდევს იმ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც თანამედროვე მსოფლიოში საქმით შეუძლია უზრუნველყოს ხალხთა მშვიდობა და უშიშროება. ასეთი პოლიტიკა, როგორც ამას ადასტურებს მთელ რიგ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის გამოცდილება, შესაძლებლობას იძლევა განვითარდეს ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური, სავაჭრო, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობა, რომელსაც უდიდესი სარგებლობა მოაქვს ყველა ხალხისათვის, ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და ყველა სადავო პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას.

ყოველდღე მოდის ცნობები, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ჩაღდება აქტიური მზადება ლენინის ღირსშესანიშნავი იუბილესათვის.

საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა პროგრესულმა ორგანიზაციებმა, საკომიტეტოდ რომ ჩაატარონ ლენინის წელი, დასახეს იმის პროგრამა, რომ თანამემამულეთა ფართო ფენებს გააცნონ ვ. ი. ლენინის მოღვაწეობა და ლენინური იდეების განხორციელება.

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენ, საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საბჭოთა კომიტეტის წევრები, რომლებიც შევიკრიბეთ ჩვენს პლენუმზე მოსკოვში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღისასწაულისათვის მზადების საკითხის განსახილველად, დიდად ვაფასებთ თანამემამულეთა და აქტივისტთა პროგრესული ორგანიზაციების კეთილშობილურ მოღვაწეობას. თქვენ მცირე წვლილი როდი შეგაქვთ სამშობლოსთან კულტურული კავშირის განვითარების საქმეში, საბჭოთა ადამიანებსა და იმ ქვეყნების ხალხებს შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის საქმეში, სადაც ჩვენი თანამემამულენი ცხოვრობენ. თქვენი მუშაობა, რომელიც შეესაბამება თანამემამულეთა ფართო წრეების ინტერესებსა და სურვილებს, ხელს უწყობს სამშობლოზე, საბჭოთა ხალხის შთაგონებულ შრომაზე სიმართლის გავრცელებას, მის ბრძოლას მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

თავის მხრივ საბჭოთა კომიტეტი, რესპუბლიკური კომიტეტები და საზოგადოებები, რომელთა მუშაობაში მონაწილეობენ საზოგადოებრიობის ფართო წრეების წარმომადგენლები, ყველაფერს აკეთებენ, რომ კიდევ უფრო გააფართოონ და განამტკიცონ თანამემამულეთა კავშირი სამშობლოსთან.

საბჭოთა კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს პროგრესულ ორგანიზაციებს, აქტივისტებსა და ყველა თანამემამულეს — საბჭოთა კავშირის მეგობრებს ღირსეულად აღნიშნონ ვ. ი. ლენინის იუბილე, შეისწავლონ ვლადიმერ ილიას-ძის შრომები და მოუთხრონ მათ შესახებ. პოპულარიზაცია გაუწიონ იმ წარმატებებს, რასაც აღწევს საბჭოთა კავშირი, რომელიც აშენებს კომუნიზმს ლენინის ანდერძის მიხედვით.


პლენუმი რწმენას გამოთქვამს, რომ საზღვარგარეთელ თანამემამულეთა აქტიური მონაწილეობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის მომზადებასა და ჩატარებაში ახალი წვლილი იქნება მშვიდობისა და პროგრესის, ხალხთა თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებისა და გაფართოების საქმეში.

ფოტოინფორმაცია

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ფართოდ გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრი.

ფაბრიკის მოწინავეთა შორის წარმატებით დგას შრომითს ვახტანგ კომუნისტური შრომის დამკვრელი მქსოველი ლეილა ვიბლიანი. იგი 6 დაზგას ემსახურება და ცვლის დავალებებს 130 პროცენტით ასრულებს.


სურათზე: მოწინავე მქსოველი ლეილა ვიბლიანი.



სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახის ილია გაჩეჩილაძის სახელი კარგად არის ცნობილი ზესტაფონის რაიონში. იგი ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატია. გაჩეჩილაძემ გასულ წელს ერთ ჰექტარზე მიიღო 70 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად 46 ცენტნერისა. ყურძნის მაღალი მოსავლის მოყვანისათვის მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

სურათზე: სოციალისტური შრომის გმირი ილია გაჩეჩილაძე.





იზრდება ქარხნის პოპულარობა

თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის პროდუქცია დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ პროდუქციას ახლა ყიდულობენ პოლონეთი, უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, აფრიკის ზოგიერთი სახელმწიფო. თბილისური მარკის ჩარხების შესყიდვის სურვილი წელს გამოთქვა ინგლისმაც.

მომხმარებელთა განსაკუთრებული მოთხოვნით სარგებლობს მრგვალსახეხი უნივერსალური ჩარხი ზა-110, რომელიც ამ შემქმნეს ამ ცოტა ხნის წინათ. იგი განკუთვნილია ხელსაწყოთსაშენებელი მრეწველობისათვის და დეტალებს ამუშავებს 0,5 მიკრონის სიზუსტით.

სურათზე: ჩარხების მომზადება გასაგზავნად.

მკურნალის ხელი

ქართველი სპეციალისტები საზღვარგარეთ

ალარაჰის აკვირეებს ჩვენებური სპეციალისტების გამგზავრება უცხოეთის იმ ქვეყნებში, რომლებმაც ახლახან დაიწყეს თავი მონობის უღელს და ამჟამად დამოუკიდებლად უძღვებიან საკუთარი სახელმწიფოს ცხოვრების მოწესრიგების საქმეს. სულ ნაირნაირი პროფესიის საბჭოთა ადამიანებს — ინჟინრებს, მუსიკოსებს, მხატვრებს, ექიმებს შეხვდებით ახლა შორეულ კუნძულებში, ტროპიკებში, უდაბნოებში.

სიამაყის გრძნობას იწვევენ ჩვენში ეს ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ინტერნაციონალური სულისკვეთება პრაქტიკულად დაადასტურეს იმით, რომ თავგამოდებით ეხმარებიან თავისუფლებისმოყვარე ხალხებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

დიახ. სიამაყის გრძნობა დაგეუფლა, როცა ერთ-ერთ ბიულეტენში, რომელიც დასათაურებულია: „აზიისა და აფრიკის ქვეყნებში“, ამოვიკითხეთ: მადლიერების დიდი გრძნობით ახსენებენ პაციენტები ქუთაისელ ქირურგ-ონკოლარინგოლოგს ზურაბ ჭიჭინაძეს. ბუკუმბურის ჰოსპიტალის მთავარი ექიმის დევნგის განცხადებით, „ბუკუნბუს ჯერ არასოდეს მოსწრებია ასეთი მაღალი კვალიფიკაციის ექიმები.

მოსკოვის, ომსკის, ლვოვის, კუიბიშევის და ქუთაისის მცხოვრებლებს შეუძლიათ იამაყონ თავიანთი თანამემამულეებით, რომლებიც შორეულ, ცხუნვარე ეკვატორის მიღმა ასრულებენ ყველაზე კეთილშობილურ, ყველაზე ადამიანურ მისიას“.

დარწმუნებული ვართ, ჩვენს განწყობილებას გაიზიარებენ ზურაბის მასწავლებლები, რომლებმაც 1949 წელს მას სომეხის ატესტატი ჩაბარეს ვეფხვ მე-18 (ამჟამად მე-15) სკოლაში. სიხარულით შეხვდებიან ამ ცნობას პროფესორ-მასწავლებლები ქ. ორჯონიკიძის სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც ზურაბმა უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო. გულგრილი ვერ დარჩებიან ქუთაისის ონკოლოგიური დისპანსერისა და ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს თანამშრომლებიც. ამ ხომ 1964 წლიდან მუშაობდა ზურაბი ნოვოკუზნეცკის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ორდინატურის დამთავრების შემდეგ.

ახლა ცოტა რამ იმ ქვეყნის შესახებ, სადაც აგვარიგად გამოიჩინა თავი ჩვენმა თანამემამულემ.

ბუკუნბუის რესპუბლიკა ეკვატორის მიღმა იმყოფება ცენტრალურ აფრიკაში. მისი დედაქალაქია ბუკუმბურა. ამ ახალგაზრდა რესპუბლიკის პრეზიდენტია პოლკოვნიკი მიშელ მიჩამბერო. ბურუნდი წინათ ბელგიის კოლონია იყო. აქაურმა აფრიკელებმა 1962 წელს მოიპოვეს დამოუკიდებლობა, ხოლო 1966 წლიდან მონარქიული წყობილება რესპუბლიკად შეიცვალეს. ამ მჭიდროდ დასახლებული რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხვი 3,5 მილიონს აღწევს, მის დედაქალაქ ბუკუმბურაში კი 80 ათასი მცხოვრებია.

ბელგიის ყოფილ კოლონიაში ქირურგის შემდეგ ფრანგული მეორე ოფიციალურ ენად ითვლება.

ყველაფერი ეს აფრიკაში გამგზავრებამდე იცოდა ზ. ჭიჭინაძემ, რომელმაც ბევრი წიგნი გადმოიღო ბიბლიოთეკის თაროებიდან იმ ქვეყნის შესასწავლად, რომელშიც მუშაობა მოუხდებოდა.. საქმაოდ მდიდარი ინფორმაციის დაგროვების შემდეგ მის წინაშე დადგა ენის შესწავლის პრობლემა. და აი, 1967 წელს იგი მიავლინეს მოსკოვში სსრ კავშირის მედიცინის აკადემიასთან არსებული ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ერთწლიან კურსებზე ფრანგული ენის დასაუფლებლად.

დადგა გამგზავრების დღე — 1963 წლის ნოემბერი. 48 საათი საქმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ცის ლაითოხალი, ბანანი, ანანასი, ხურდრო; ხუხვადაა კიტრი და პამიდორი. თუმცა აქ ყველა პროდუქტში და ხილში ვიტამინების ძალიან ცოტა პროცენტია.

საბჭოთა მედიკოსებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ბუკუმბურას აეროდრომზე საელჩოსა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა... ორი კვირა აქ ჩვენელებრივ დაწესებულია ჰავის და საკვების შეგუების პერიოდად. შეგუება ლმდა საშუშაო დღის განრიგსაც. მუშაობა იწყება დილის 6 საათიდან დღის 12 საათამდე. ნაშუადღევის საათებში პაპანაქების გამო მუშაობა წყდება, ხოლო 7 საათზე უკვე ბნელდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბუკუნდის რესპუბლიკაში ახლა იწყება მოსახლეობის ნამდვილი სამედიცინო მომსახურება. ქ. ბუკუმბურაში არსებობს ორი კლინიკა (აქ ჰოსპიტალს უწოდებენ): ერთი შეძლებულთათვის, რომელთაც აქვთ საშუალება 500 ფრანკი (ე. ი. მუშის ხელფასის მესამედი) გადაიხადონ ექიმთან მოსახვედრად, მეორე კი — საყოველთაოდ მისაწვდომი კლინიკა, რომელიც ვინმე არინც მარლის სახელს ატარებს. საბჭოთა ექიმები ამ კლინიკაში განწესდნენ.

ბურუნდში ცოტაა ადგილობრივი ექიმი, ძირითადად მუშაობენ ბელგიელები და ფრანგები, რომლებიც ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული ამ ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების გეგმაზომიერი განვითარებით. აქ არსებულ მდგომარეობას კარგად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ 187 ათას მცხოვრებს ასი ექიმი ემსახურება. ჰოსპიტლებში აქამდე არ უწარმოებიათ ელემენტარული დოკუმენტაცია. არ მოიპოვება ავადმყოფობის ისტორიები, იგრძნობა მედიკამენტების ნაკლებობა.

ზურაბი, ისე როგორც მისი დანარჩენი რვა კოლეგა, მოელოდა, რომ საქმე მიეცემოდა ტროპიკულ მედიცინასთან, ამიტომაც ეს დარგი წინასწარ და საგულდაგულოდ შეისწავლა. მაგრამ ადგილზე აღმოჩნდა, რომ უფრო მცირეა მალარიის და მწერების ნაკბენით გამოწვეული დაავადებანი, ვიდრე სოციალური წარმომავლობის ტუბერკულოზი, კუჭნაწლავის და კანის სნეულებანი.

ბურუნდის რესპუბლიკაში ძალზე საქმაო აღმოჩნდა ზურაბ ჭიჭინაძის ნერვის მოსკოვის დათვალიერებანი და სუსხიანი ჰავა მწვავედ აბიბინებული პეიზაჟებით და მზის მცხუნვარებით შეიცვალა. პირველ შთაბეჭდილებაზე უმჯობესია ჩავიხედოთ ზურაბის წერილებში, რომელთაც იგი უმეტესად გზავნის თავისი დის რუსიკოს და სიძის, ჩვენთვის კარგად ცნობილი დამსახურებული პედაგოგის, ვანო ჯარლამიშვილის მისამართით.

„დღემდე მეგონა, რომ სპართველოზე ულამაზესი ბუნება არსად არ არის, მაგრამ ახლა კი სხვა რამეში დავრწმუნდი... გამოცა იმან, რომ აფრიკაში ზოგიერთ ხეს სხვადასხვა ფერის ფოთლები აქვს. ბუნება ძალზე მრავალფეროვანი და ლამაზია. საერთოდ ჩვენ აფრიკა ვერ წარმოგიდგენია პაპანაქება სიცხის გარეშე, მაგრამ ასე არ არის, ბუკუმბურაში აქეილაზე მაღალი სიცხე 30-35 გრადუსს აღწევს. ახლა ნოემბერი დგას, ამიტომაც საღამოობით საგრძნობლად გრილა...

ბუკუმბურა პატარა, მწვანეში ჩაფლული ქალაქია. ჩვენი ქუთაისივით. ქალაქის ერთი მხარე დაბლობია, დანარჩენი მთაგორიანი. ქალაქში ძალიან ბევრი მაღაზიებია, იშოვება ყველაფერი, მაგრამ გაცილებით ძვირია, ვიდრე ჩვენთან. ევროპულ ნაწილში ცხოვრობს სხვადასხვა ეროვნების ხალხი — ბელგიელები, ფრანგები, უფრო მეტად ბერძნები. შეინიშნება დიდი უმუშევრობა, ქუჩებში შეხვდებით ბევრ მათხოვარს. ღატაკს შეეიქცევით ნაირ-ნაირ ხილს — სასტუმროში ყოველ დილას მოაქვთ მანდარინი, ფორთოხალი, ბანანი, ანანასი, ხურდრო; ხუხვადაა კიტრი და პამიდორი. თუმცა აქ ყველა პროდუქტში და ხილში ვიტამინების ძალიან ცოტა პროცენტია.

საბჭოთა მედიკოსებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ბუკუმბურას აეროდრომზე საელჩოსა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა... ორი კვირა აქ ჩვეულებრივ დაწესებულია ჰავის და საკვების შეგუების პერიოდად. შეგუება ლმდა საშუშაო დღის განრიგსაც. მუშაობა იწყება დილის 6 საათიდან დღის 12 საათამდე. ნაშუადღევის საათებში პაპანაქების გამო მუშაობა წყდება, ხოლო 7 საათზე უკვე ბნელდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბუკუნდის რესპუბლიკაში ახლა იწყება მოსახლეობის ნამდვილი სამედიცინო მომსახურება. ქ. ბუკუმბურაში არსებობს ორი კლინიკა (აქ ჰოსპიტალს უწოდებენ): ერთი შეძლებულთათვის, რომელთაც აქვთ საშუალება 500 ფრანკი (ე. ი. მუშის ხელფასის მესამედი) გადაიხადონ ექიმთან მოსახვედრად, მეორე კი — საყოველთაოდ მისაწვდომი კლინიკა, რომელიც ვინმე არინც მარლის სახელს ატარებს. საბჭოთა ექიმები ამ კლინიკაში განწესდნენ.

ბურუნდში ცოტაა ადგილობრივი ექიმი, ძირითადად მუშაობენ ბელგიელები და ფრანგები, რომლებიც ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული ამ ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების გეგმაზომიერი განვითარებით. აქ არსებულ მდგომარეობას კარგად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ 187 ათას მცხოვრებს ასი ექიმი ემსახურება. ჰოსპიტლებში აქამდე არ უწარმოებიათ ელემენტარული დოკუმენტაცია. არ მოიპოვება ავადმყოფობის ისტორიები, იგრძნობა მედიკამენტების ნაკლებობა.

ზურაბი, ისე როგორც მისი დანარჩენი რვა კოლეგა, მოელოდა, რომ საქმე მიეცემოდა ტროპიკულ მედიცინასთან, ამიტომაც ეს დარგი წინასწარ და საგულდაგულოდ შეისწავლა. მაგრამ ადგილზე აღმოჩნდა, რომ უფრო მცირეა მალარიის და მწერების ნაკბენით გამოწვეული დაავადებანი, ვიდრე სოციალური წარმომავლობის ტუბერკულოზი, კუჭნაწლავის და კანის სნეულებანი.

ბურუნდის რესპუბლიკაში ძალზე საქმაო აღმოჩნდა ზურაბ ჭიჭინაძის — ლარინგოლოგ ქირურგის პროფესია. მის ჩასვლამდე ყელ-ყურ-ცხვირის მკურნალობას ეწეოდა თვალის სპეციალისტი ფრანგი ქალი, რომელმაც არც თუ სინანულით დატოვა კლინიკა და კერძო პრაქტიკაზე გადავიდა.

ზ. ჭიჭინაძე მკლავებგაკაპიწებული, დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას თავის თანამემწე გრეგუარ ბარაობერასთან ერთად. ბევრი აღმოჩნდა ყელ-ყურ-ცხვირით დაავადებული, რომელთა შორის ნახევარზე მეტი ბავშვებია. ამ მხრივ ზურაბს დიდად გამოადგა ქუთაისის ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოში მიღებული პრაქტიკა. მაგრამ არანაკლები დახელოვნება გამოიჩინა მან რთული ოპერაციების ჩატარებაში და ეს არც ისე გასაკვირია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის ქ. ჯამბულში და ქუთაისის ონკოლოგიურ დისპანსერში 4-4 წლის მუშაობის პერიოდში მას 495 რთული ოპერაცია აქვს გაკეთებული.

ბუკუმბურაში ბრწყინვალედ ჩატარებული პირველი ოპერაციების შემდეგ ზურაბს იუვილირი ქირურგის სახელი გაუვარდა. საოპერაციოში მუშაობის დროს მასთან შედიან სხვა განყოფილების ექიმები — უცხოელებიც და ჩვენებიც.

განსაკუთრებული დიდება მოუტანა ზურაბს ოპერაციამ, რომელიც 21 წლის ახალგაზრდა ქალს გაუკეთა. 1962 წელს ამ ქალს შუაყურის ჩარქოვანი პროცესი განუვითარდა. ანთება ტვინის გარსსაც შეეხო და მენინგიტის საშიშროება წარმოიშვა. ოთხი წელიწადი ამაოდ მკურნალობდნენ მას ევროპელი ექიმები. საქმე კატასტროფის პირზე იყო მისული, როცა ბუკუმბურას ზ. ჭიჭინაძე მოევლინა. მისმა გაბედულმა და სარისკო ოპერაციამ იხსნა ახალგაზრდა ქალის სიცოცხლე. ქუთაისელმა ექიმმა ამისთვის საელჩოდან რამდენიმე მადლობა დაიმსახურა. ზ. ჭიჭინაძის ავტორიტეტის სიმაღლეს მოწმობს ისიც, რომ მას კონსულტაციისათვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიშელ მიჩამბერომაც მიმართა.

რთული ოპერაციების დროს ზურაბი მუდამ სიამოვნებით იგონებს ქუთაისის ონკოლოგიურ დისპანსერში ქირურგიული განყოფილების გამგესთან — ნოდარ მდივანთან ერთად ჩატარებულ ოპერაციებს.

სამი თვის მანძილზე ზურაბმა 30 რთული ოპერაცია გააკეთა, ამბულატორიული მკურნალობა ჩაუტარა 1.600 ავადმყოფს. კვირაში ერთ დღეს იგი სხვა საბჭოთა ექიმებთან ერთად მოსწავლეთა პროფილაქტიკურ შემოწმებას ანდომებს. ასეთი მუშაობა ბურუნდში პირველად მათი ინიციატივით დაინერგა.

სასტუმრო „პაპიდასში“ სადაც ზურაბი ოჯახით ცხოვრობს, ხშირად მიდიან ადამიანები, ვინც ვერ მოასწრო კლინიკაში მასთან მოხვედრა. ქართველი ექიმი არ იშურებს ავადმყოფისათვის დროს, კეთილ რჩევას, საჭირო წამალს და ალერსიან ღიმილს.

თ. ოდიშარია.

რომანტიკული მოგზაურობა სვანეთში

ქართული თემა უნგრული ლიტერატურის კლასიკოსის ნაწარმოებებში

საქართველოში სტუმრად იყო უნგრელი მწერალი და ქართველოლოგი დიერდ რადო მეუღლითურთ.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს დიერდ რადომ უთხრა:

— საქართველოში პირველად 1946 წელს ვიყავი. იმჯერად თბილისში სამი დღე დავყავი. საქართველომ ჩემზე პირველი ნახვისთანავე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით მომხიბლა საქართველოს სამხედრო გზამ. ახლა თქვენში უკვე მეხუთედ ვარ.

ქართულ-უნგრულ კულტურულ და ლიტერატურულ თანამშრომლობას საფუძველი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩაეყარა, როცა უნგრელმა მხატვარმა ზიჩმა შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები.

ჩემ მეგობარ შანდორ კოზაჩთან ერთად შედგენილი მაქვს ქართულ ნაწარმოებთა ყველა უნგრული თარგმანის ბიბლიოგრაფია.

უნგრეთში გამოვიდა „მსოფლიო ლიტერატურის ანთოლოგია“ (6 ტომად), ვთარგმნე და ანთოლოგიაში შეტანილია ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები (თეიმურაზი, არჩილი, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი და ნ. ბარათაშვილი) და თანამედროვე ქართველი პოეტები.

ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის მე და ჩემი მეუღლე ვაწყობთ მოხსენებებს ქართველ პოეტებზე და ვკითხულობთ მათ ლექსებს.

ჩემი მოგზაურობის შემდეგ გადაწყვეტილი მაქვს დავწერო წიგნი საქართველოზე. მინდა დავწერო აგრეთვე გამოკვლევა ბარათაშვილს „მერანის“ თარგმანთა შეპირისპირების საფუძველზე.

ვბეჭდავთ დიერდ რადოს წერილს, რომელიც მან გაზეთ „ლიტერატურული საქართველოსათვის“ დაწერა და იქვე გამოქვეყნდა.

უნგრული პროზის კლასიკოსი მორ იოკაი (1825-1904). რომლის თხზულებებს ამჟამად 140 ტომად სცემს უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია, სიუჟეტებს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ცხოვრებიდან იღებდა და მოქმედების დროდაც სრულიად განსხვავებულ ისტორიულ ეპოქებს ირჩევდა. მორ იოკაის „ბერძნული ციცხლის“ ციკლის ერთ-ერთი თხზულება კავკასიის თემაზეა დაფუძნებული: მთავარი გმირის სამოქმედო ასპარეზად სვანეთია არჩეული. ნაწარმოებს „რიუმინი“ ჰქვია (მთავარი გმირის გვარია).

როგორ შეიქმნა ეს ნაწარმოები და რა გზით მოხვდა მისი მთავარი გმირი საქართველოში, კერძოდ, სვანეთში?

„ბერძნული ციცხლი“ მორ იოკაის იმ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც ჰქმნილან მოვლენათა ბიძგით შექმნილან და უშუალოდ ამ მოვლენათა გამომახილს წარმოადგენენ.

„რიუმინის“ შექმნის იმპულსი რუსეთ-თურქეთის 1877-1879 წლების ომი იყო.

იოკაი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა რუსი ადამიანისა და რუსეთის პოლიტიკის მიმართ. მრავალი მისი ნაწარმოები სწორედ იმდროინდელი რუსეთის იმპერიის ხალხთა ცხოვრებას ეხება. რიუმინი, რომელიც მისმა ხასიათმა და ბედისწერამ სვანეთს გარდახვეწა, რუსი ადამიანის ბუნების გამოსახვის ახალი ეტაპია უნგრულ ლიტერატურაში.

1877 წელს იოკაი ემზადება დეკაბრისტებსა და პუშკინზე ცნობილი რომანის „თავისუფლება თოვლქვეშ“ დასაწერად. მის წარმოსახვაში უკვე ყალიბდება ხასიათი თავისუფლებისათვის მებრძოლი რუსი ადამიანისა, რომელიც უკვე რევოლუციონერია და არა ინსტინქტური მეამბოხე. მაგრამ იოკაის ეს რუსი გმირი, რიუმინი, სვანეთისკენ მიმავალ გზებზე ჯერჯერობით თავის ახლო მოყვასთა ხსნას ეძიებს.

„რიუმინში“ მოქმედება 1836 წელს ხდება. რუსთა ჯარები თანდათანობით ეუფლებიან შავიზღვისპირეთს. მათ სუჩუკ-კალეც (ახლანდელ ნოვოროსიისკთან) დაიშიროეს. მათ ყურამდე აღწევს ხმები, სადღაც, კავკასიის შეუვალი მთების წიაღში, ოქროს უმდიდრესი საბადოებიაო. გერმანელი მოგზაური დოქტორ კარლ კოხი, რომლის წიგნი „კავკასიის ქვეყნები“. მორ იოკაისთვის „რიუმინის“ წერისას ამოსავალ წყაროს წარმოადგენდა, ამ ოქროს საბადოებთან სახელგანთქმულ რეინეგსსაც კი აკავშირებდა, რომელმაც საკმაოდ თვალსაჩინო როლი ითამაშა მეფე ერეკლე II-ის კარზე: კოხი ირწმუნება, რუსეთის დავალებით რეინეგსი კავკასიის ზემოხსენებულ ოქროს საბადოებს ზვერავდაო...

რუსი გენერალი ველიამინოვი ატყობინებს თავის მამაც ოფიცერ რიუმინს, — შენი საიდუმლო კავშირი დეკაბრისტებთან გამჟღავნებულია. შენი დაი და მშობლები ციმბირში არიან გადასახლებული და შენ ერთს შეგიძლია მათი გადარჩენა, თუკი იკისრებ ფათერაკიან, არასახარბიელო როლს ჯაშუშისას. კავკასიის მთათა ღრეში შეაღწევ, ოქროს მოიკვლევ, ადგილობრივ მცხოვრებთა გულს მოიგებ, დასასრულ, ღალატის გზით, რუსეთის ჯარებს „ოქროს ქვეყნის“ დაპყრობაში ხელს შეუწყობო...

ნაწარმოების ბირთვი ესაა.

შესანიშნავი ადამიანი, მამაცი მხედარი და ქალთა გულის მფლობელი რიუმინი. რომელიც ხასიათის ზოგგერთი ნიშნით ორიგინურ-პეჩორინულ პიროვნებას გვაგონებს, რუსების აგენტ ოსისგან ზედმიწევნით ეზიარა „მთიელთა ცოდნას“, მან შეისწავლა ძველი ქართული ლადმოცემები და „კავკასიის ბარდის“. სახალხო მომღერლის სამოსში ვამოწუობილი ფათერაკიან გზას დაადგა. „თქმულება ამირანზე“, „დალარიანი“, „ომიანი“, და თამარ მეფის ციკლი ლეგენდები შეადგენდნენ მის „რეპერტუარს“ და ეს მოხეტიალე მომღერალი აღმოჩნდა თშავ-ხევსურთა წეს-ჩვეულებების ჩინებული ცოდნას.

თავდაპირველად რიუმინი და მისი თანამგზავრი ქალი მცხეთის, გადმოხვეწილ ოუს სექტანტთა — დუხობორებისა და მალაკანების სოფლებში მოხვდებიან. ცნობილია, რომ მწერალებელთა შესახებ ცნობები იოკაიმ აიღო დიდი რუსი მხატვრის ვ. ვერეშჩაგინის საგზაო ჩანაწერებიდან, რომელიც ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა 1869 წელს საგეოგრაფიო ალმანახში „მოგზაურობა დედამიწის გარშემო“ (ვერეშჩაგინს იოკაი პირადად იცნობდა, მათ მიმოწერა ჰქონდათ და ერთმანეთს დიდად აფასებდნენ. პეტერბურგის სახელმწიფოს ბიბლიოთეკის ლიტერატურულ მუზეუმში ინახება მორ იოკაისადმი მიძღვნილი ნახატი „ვერეშჩაგინისა).





ქართული წითელი თისისაგან დამზადებული კერამიკული ნაკეთობანი ფართოდ არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

კომბინატში პრაქტიკას გადიან თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სტუდენტები. სტუდენტთა ერთი ჯგუფი მეცადინეობს კომბინატის მოწინავე მდნობელის თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატის გულინე პაიჭაძის ხელმძღვანელობით

სურათებზე: საწარმოს მწარმოებელი პროდუქცია; (მარცხნიდან მარჯვნივ) სტუდენტი ირინა ანდრონიკაშვილი, მდნობელი გულინე პაიჭაძე და სტუდენტი მაყვალა ბერუაშვილი.

მოხარული ვარ...

ანდრე ფუჟერონი —

ლადო გუდიაშვილის სტუმარი

ცნობილი ფრანგი მხატვარი **ანდრე ფუჟერონი**, რომელიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობს, სამარყანდიდან თბილისს ეწვია.

მუსლიმანური კულტურის უძველესი ძეგლების ბიბი-ხანუმის მეჩეთისა და გურ-ემირის მავზოლეუმის შემდეგ უცბად იხილა მართმადიდებლური სამყაროს მშვენება — სვეტიცხოვლის დიდი ტაძარი და მცხეთის ჯვარი...

ანდრე ფუჟერონი საქართველოში პირველად არის. ჩვენმა ხალხმა, ბუნებამ, ხელოვნებამ მოხიბლა ფრანგი სტუმარი. „ᲐᲮᲚᲐ ᲛᲔ ᲐᲠ ᲛᲘᲙᲘᲕᲘᲠᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲧᲝᲤᲐᲓᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲫᲚᲘᲡ“, — თქვა მან.

ანდრე ფუჟერონი საბჭოთა საზოგადოებრიობის საყვარელი შემოქმედია. შარშან მოსკოვსა და ლენინგრადში გამართული გამოფენის შემდეგ, როცა ათასობით მნახველმა უშუალოდ გაიცნო მისი ნაწარმოებები, იგი უფრო მახლობელი გახდა.

ფრანგ კომუნისტ ფერმწერსა და გრაფიკოსს აფასებს ჩვენი საზოგადოებრიობა როგორც თანამედროვეობის დიდ მხატვარს, რომელმაც საფრანგეთისა და ალჟირის ხალხთა ცხოვრებას, ეპოქის სოციალური პრობლემებს უძღვნა მაღალმხატვრული ქმნილებები და თავისი შედევრით — „პარიზელი ქალები ბაზარში“ (1947) დასაბამი მისცა „ახალი რეალიზმის“ მიმართულებას.

ყველას ახარებს ის ამბავი, რომ 56 წლის მხატვარი კვლავ ახალგაზრდული შემართებით იღვწის თავისი ქვეყნის სადიდებლად.

ქართულ მიწაზე განსაკუთრებით საინტერესო იყო ანდრე ფუჟერონისა და საქართველოს სახალხო მხატვრის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის ლადო გუდიაშვილის შეხვედრა.

ანდრე ფუჟერონი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მოწმე იყო ქართველი მხატვრის ტრიუმფისა პარიზში. წაუკითხავს მორის რეინალის მიერ 1925 წელს გამოცემული მონოგრაფია — „ლადო გუდიაშვილი“. უნახავს საფრანგეთის სხვადასხვა მუზეუმებში გაბნეული მისი ნაწარმოებები, მაგრამ ეს იყო გაცნობა მთელი სიღრმით.

ამ ორი დიდი მხატვრის გულის ნადების გაგება და ზედმიწევნით თარგმნა თარჯიმანს გაუჭირდა და ლადო მშვენიერი ფრანგული ენით ალაპარაკდა.

უწინარეს ყოვლისა მოიგონეს პარიზში მოლვაწე უფროსი და მათი თაობის მხატვრები და მეცნიერები: პაბლო პიკასო, იგნასიო სულოაგა, ფერნან ლეჟე, მორის რეინალი, ლეონარდო ფუჟიტა, ფრანს მაზერელი, პიერ ბონარი...

ანდრე ფუჟერონმა ფიროსმანი ახსენა — იგი დიდხანს იქნება პარიზელ მხატვართა საუბრის თემად. მისი წმინდა გულიდან გამოსულ დიდ მხატვრობას ბევრმა თანამედროვე შემოქმედმა უნდა მიბაძოს, — თქვა მან.

— როგორ ცხოვრობენ დღეს პარიზელი მხატვრები, „მარშან დე ტაბლო“ — სურათების მოვაჭრენი თუ არიან კიდევ? — ჰკითხა გუდიაშვილმა.

— სამწუხაროდ, არიან, და ბაატვარი ხშირად მათი მონა ხდება., — უპასუხა ფუჟერონმა.

სიტყვა მხატვრის გატაცებაზე ჩამოვარდა.

— ჩემი აზრით, — თქვა ახლა ფუჟერონმა, — ყოველი მხატვარი მოაზროვნისა და შემოქმედის თვალით უნდა უყურებდეს ცხოვრებას და წერდეს თანამედროვეობაზე იმეთ ტილოს, რაც საუკუნეებს შეარჩება.

ეს საუბარი გუდიაშვილის სახატვრო სალონში მიმდინარეობდა. სტუმარი და მასპინძელი ერთი სურათიდან მეორესთან გადადიოდნენ. ანდრე ფუჟერონმა დიდხანს უცქირა გროტესკული ჩანახატების სერიას და თქვა:

— აქ ჩანს ჩვენი დროის ფრანცისკო გოია.


ოვითეულ ფერწერულ ტილოსთან დიდხანს ჩერდებოდა და უყურადღებით კითხულობდა.

— უყურებ, და ეს ნაწარმოებები პირველად სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული გგონია, მაგრამ კარგად თუ დააკვირდები, ყველგან აღმოაჩენ გუდიაშვილისეულ განუმეორებელ ხელწერას; ეს საკვირველი მხატვარია, ორიგინალური, პრინციპული, რომელიც ღრმად ჩასწვდა ადამიანებსა და მოვლენებს; მისი შემოქმედება წმინდა ეროვნულია, რომელიც ამავე დროს დიდად საინტერესო და საყვარელია სხვა ხალხებისათვის.

მერე ანდრე ფუჟერონმა ამოიღო ოვისი ნაწარმოებების ალბომი და წაწერა: „ბატონ ლადო გუდიაშვილს; მოხარული ვარ, რომ ვნახე ასეთი დიდი ხელოვანი და მისი მხატვრობა“.

ლადო გუდიაშვილმა კი ფრანგ სტუმარს მიართვა თავისი სურათებიანი მონოგრაფია წარწერით. „ᲐᲜᲓᲠᲔ ᲤᲣᲯᲔᲠᲝᲜᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲡ, ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲕᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲡ, ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑ ᲛᲖᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ“.

გ. ᲛᲐᲜᲘᲐ.



სურათზე: ქ. ქუთაისის ერთ-ერთი კუთხე.

რიუმინი სექტანტთაგან ათავისუფლებს სასიკვდილოდ განწირულ მშვენიერ ასულ იზმენას (სახელად ორუსული სიტყვა შემთხვევითაა შერჩეული). ახლა მცხეთისისთან ერთად იზმენაც რიუმინის თანამგზავრი ხდება. მალე მცხეთისი იღუპება „ზღვაური ციებისაგან“. სექტანტთა სოფლიდან მგზავრები კავკასიელ ტომებში ხვდებიან.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ მორ იოკაის მდიდარი ფანტაზია იკვებებოდა უძველესი წყაროებით — სწორი თუ მცდარი გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული ცნობებით. მათგან იგი რეპორტაჟებს კი არა, მოთხრობებსა და რომანებს წერდა. მის ამოცანას ფსიქოლოგიური, მორალური, ლოგიკური სიმართლის გამოხატვა წარმოადგენდა. ამიტომ შეიძლება მას მივუმატოთ ამბის ფაქტიური ელემენტების უზუსტობანი.

ნაწარმოებში სვანეთი უტოპიურ ქვეყნად გვევლინება. იქ ცხოვრობენ სამასი ხალხის წარმომადგენლები. ძველი ბერძნებიდან და რომაელებიდან მოყოლებული და XIX საუკუნის ტირანთაგან თავდაწეული სხვადასხვა ერის წარმომადგენლებით გათავებული. მათ შორის სრული თანხმობა სუფევს, რადგანაც ამ სამოთხე ქვეყანაში ერთადერთ რელიგიას მისდევენ: ესაა მიწის კულტი. ღმერთი დაალი, რომელსაც ისინი ეთაყვანებიან, სამშობლოა მიწისა, რომელიც ყოველ გამოზაფხულზე ახალი სიცოცხლით ივსება. შურისა და ღვარძლისაგან, სიძულვილისა და ჯერჯობისათრული მიდრეკილებებისაგან თავისუფალი ადამიანები — მორ იოკაი „თავის“ სვანეთში ხატავს შეშმარიტ უტოპიურ სოციალიზმს.

ოქროს ამ ქვეყანაში არ ძალუძს ადამიანთა ცდუნება, რადგან მას წინადიდან იღებენ და დედოფალს მიართმევენ ყველაზე საშინელი სექტის — უენოთა სექტის წევრები. ადამიანები, თავიანთი უსასტიკესი აღთქმისა და შეჩვენებათა წინაშე შიშის გამო, კრინტს არ ძრავენ.

ქალთა ნებიერა რიუმინი ემზადება თავისი სასტიკი მიზნის განსახორციელებლად. სამი მშვენიერი ასულის — იზმენას, გალმართა მთავრის ქალისა და თვით დედოფალ ალხაზირას სიყვარული მისთვის მხოლოდ მუხანათური მიზნის მიღწევის საშუალებაა.

თავის თანამგზავრ იზმენას რიუმინი აგზავნის უენოთა სექტაში, იზმენა ამ საშინელი სექტის წევრი ხდება და ეზიარება ოქროს მოპოვების საიდუმლოებას: რიუმინმა მის მაღმერთებელ იზმენას დაარღვევინა უსასტიკესი აღთქმა და მას ოქროს მოპოვების საიდუმლოება დააცდევინა. ახლა მიზანი მიღწეულია და იდუმალებამეცნობილი რიუმინი და იზმენა სვანეთიდან გამოიპარებიან. ლიახვის ხეობაში მათ მიეწევა რისხვა დიდოფალ ალხაზირასი და ღვთაება დაალ მიწისა. ძლიერი ფეთქება მთებს ძრავს, უზარმაზარი წყლის მასა იწროებში იჭრება და ერთმანეთს ჩახვეული რიუმინი და იზმენა იხრჩობიან... იმავე წყლის მასამ პირისაგან მიწისა აღგავა გენერალ ელეამინოვის სამხედრო ბანაკი... მთები კვლავ დაეპატრონენ ოქროს მოპოვების იდუმალებას და ალხაზირას უტოპიური სამეფო არსებობას განაგრძობს.

მორ იოკაი სამართლიანადაა აღიარებული უნგრული პროზის კლასიკოსად. მისი ყველაზე ცნობილი რომანები „შავი ალმასი“, „ოქროს კაცი“, „უნგრული ნაბობი“, „ზოლტან კარპატი“ და სხვ.) მრავალგზის გამოვიდა უნგრულ და სხვა ენებზე. ბევრი მათგანი ეკრანიზებულია. იოკაისეული სამართლე — მწერლური სამართლეა. დიახ, კავკასიის მდინარეობა მიმართულება „რიუმინში“ შეიძლება სინამდვილეს არ მისდევდეს, მაგრამ იოკაი დიდი გზნებითა და რომანტიკული აღტაცებით აღგიძებს მკითხველში სიყვარულს ზღაპრული მთიანი მხარისადმი. ამჟამინდური სამოთხის რაინდული შემართების სამართლიან, ბეჯნიერ მკვიდრთადმი.

„რიუმინი“ არის რომანტიკული ლიტერატურული მოგზაურობა კავკასიის გულისკენ. ზღაპრული სვანეთისკენ კაც მკითხველს აღუძრავს ამ მხარის ცნობის წადილს და უნახავობის ერთგვარ სევდასაც.

ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ ქართველი მკითხველისათვის მეუწყებინა თემა და პრობლემატიკა უნგრელი კლასიკოსის ამ ნაწარმოებისა, რომელიც წელსაც უნდა ვიხილოთ მორ იოკაის თხზულებათა ახალ გამოცემაში.

ᲓᲘᲔᲠᲓ ᲠᲐᲓᲜᲝ.

იოსებ ნონეშვილი

ახალი ლექსები

. . .

თუგინდ ქვეყანა, სამყარო სრული
ნახო, დალახო, გადაიარო,
მოგენატრება შენი ნიავი,
შენი ორღობის აყალოს სუნი.
მოგენატრება მტკვარი ფეხმარდი,
თბილისის თავზე მკრთალი ნათელი...
ასეა, რაც შორს წავა ქართველი
სამშობლო უფრო ახლოს ეხატვის.
იქნებ ეს არის სურვილი ძველი...
ბავშვიც პატარა ჯერ უკუდგება,
რომ გამოიქცეს და მშობელ დედას
უფრო მხურვალედ მოხვიოს ხელი.

თურქეთის ქართველებთან თქმული

ძმებო ლაზებო, შავშნო, მესხებო,
აჭარელნო თუ არტანუჯელნო,
მოულოდნელად თქვენთან შეხვედრა
ლამის თვალებსაც არ დავუჯერო.
შუბლზე გეტყობათ ოშკის ბზარებად
ნაიარევი ბედის, შავბედის.
დადუმებულხართ ტბეთის ზარივით,
დაღონებულხართ, როგორც შატბერდი.
აქ, ამ მიწაში სძინავთ წინაპრებს,
მათი ძვლებია აქ ჩამარხული,
ხოლო თვალები თავს დაგებრწყინავენ,
როგორც სანთლები ძველი ხახულის.
გულში ქართული სისხლი გიღელავთ,
გულშიც ქართველის მზე გაქვთ ჩაფანტული,
ენიმ ქართული ნანა გიმღერათ,
ენიმ გასწავლათ ენა ქართული...
კურთხეულ იყოს დედა ქართველი,
თქვენ რომ ეძახით ნენეს ალერსით;
მისი ჭაღარა თმების ნათელი
ნამუსის შუქად გიდგათ თვალებში.
ძველ სალოცავებს თავს დასტრიალებთ —
შერჩენეთ ჩუქურთმა, შერჩეთ ნახატი.
რას ვიფიქრებდით — მაჰმადიანნი
რომ ქრისტეს ტაძრებს შეევინახავდით.
თუმცა რას ვამბობ... ძველი ამბავი
რად გამახსენდა — გთხოვთ მომიტევოთ,
ისე მცირეა ჩვენი მთა-ბარი
ქრისტეც, მაჰმადიც ვერ დაეტევა?!
ჩვენ ღმერთი ბევრი გამოგვცვლია,
ღმერთი კეთილი, ღმერთი მრისხანე.
ყველა მათგანი კრძალვის ღირსია,
დაგვრჩა მათი მზის თითო მისხალი,
მაგრამ სხვა არის სული ქართული,
ის ყველა ღმერთზე უფრო ძლევრია.
უკვდავ შირონით ხარ განათლული,
თუ შუბლზე მისი შუქი გავლია.
მაშ, გვწამდეს ჩვენი ღმერთი საერთო,
დედა-სამშობლო — ღმერთი უცვლელი.
მის სამსხვერპლოზე ცეცხლად დავენთოთ
და დავიფრფლოთ მისთვის გულწრფელად.
მაშ, გაუმარჯოს ამ ჩვენს შეხვედრას,
ერთმანეთი რომ აღარ გვეთმობა...
ეს გაუმარჯოს ტანჯვით შენახულ,
მალვით შენახულ თქვენს ქართველობას!

თურქეთი,
სოფელი მაჭახელა.

ილია რურუა

ჰიმნი პანტას

მოთხრობა

Ის ფურცლავდა „კომედია ილუსტრეს“.

ჟურნალის ამ ნომერს მოუთმენლად ელოდა. ძალიან აინტერესებდა, რას წერდნენ მასზე ხელოვანთა მექაში. ადრეც დაეწერათ საკმაოდ, მაგრამ „კომედია ილუსტრე“ მაინც სხვაა. ეს უკვე ნამდვილი აღიარებაა.

„ალბათ ეს არის“.

მან თვალი გადაავლო დაირამომარჯვებულ ქალის სურათს და უნებურად გაეღიმა. უფრო გაეღიმა იმ ცვლილებებზე, მის ქართულ გვარს რომ განეცადა. თითქოს აქამდე უნდა შეჩვეოდა ასეთ რამეს, მაგრამ ვერ იქნა და ვერა, მაინც ეხმაურება. ვერც ვერაფერს გააწყობ. ასეთია პარიზი. მას უყვარს მბრძანებლობა. ხელოვნებაზე, გამოცდილი მბრძანებლობა, რომელიც ნიველირებულს გხდის, თუ ნამდვილად საკუთარი არ მოგმადლებია, თუ მაგრად არ დგახარ ფეხზე.

თვალი ჩააყოლა სტატიას:

„...იგი პირველი ქალია, რომელმაც სძლია ცრურწმენა თავისი ქვეყნისა და საცეკვაოდ გამოვიდა სცენაზე“.

ო, ეს მეტისმეტია! წინააღმდეგობა კი იყო, მაგრამ ცრურწმენა?! თუმცა რა სათქმელია. ასეთი რამისათვის აქ ბოდიშს არავინ იხდის.

„...ცნობილი მოცეკვავის მოწაფემ, პირველად უფრო თავის მასწავლებელს გაუთქვა სახელი. მასთან ერთად შემოიარა რა დიდი ნაწილი რუსეთისა და ყველგან აღფრთოვანება საზოგადოება. ცოტა ხანი ბელგიაში დაჰყო, შემდეგ ეს ნარნარა ბალერინა მოიწვიეს „იმპერიალში“, სადაც ყოველ საღამოს პარიზის რჩეულ საზოგადოებას აღტაცებას ჰგვრის მისი ხილვა და ცეკვა. მთელი არსებით გატაცებულია ხელოვნებით, რაც საშუალებას აძლევს გამოაშკარავოს ჯერ უნახავი და გაუგონარი მშვენიერება კავკასიელი ქალებისა. მას განზრახული აქვს ცეკვითა და პანტომიმით დაასურათოს ლექსები და ლეგენდები კოლხიდისა. მისი ცეკვა ჭეშმარიტად არტისტული გამოვლინებაა მაღალნიჭიერებისა. სიმპათიურ არტისტს ქალს მოელის საერთო მოწონება და აღიარება“.

რაც მართალია მართალია! კი სურს, ძალიან სურს გამოავლინოს, გამოხატოს სულიერი სიმშვენიერე ქართველი ქალისა, თავის ცეკვებში ჩააქსოვოს განუმეორებელი და პოეტური, მის ხალხს რომ მოჰმადლებია. ალბათ ამით თუ მონუსხა პარიზი. ეს თუ იტაცებს ყველაფრის მნახველს, ბევრჯერ გულმოყირჭებულ საზოგადოებას.

შენი ცის მერცხლად ვგრძნობ თავს, სამშობლოვ, ამ უცხოობაშიც. შენი ხმა მესმის ძილსა და ცხადშიც. შენი ჰანგები ატოკებენ ჩემს სხეულს შენსავე სადიდებლად. შენი „იავნანა“ კდემასა მფენს... შენი „ცანგალა და გოგონა“ სიჩაუქით მავსებს... მწუხარებას შენზე, დარდს შენზე, ფიქრს ახლობელ-ნათესავებზე მგვრის „გაფრინდი, შავო მერცხალო...“

ყოველივე ეს ჩემს არსებაში ცოცხლობს ფარულად, ტანჯვითა და ტკივილით და ამ ტანჯვა-ტკივილის ნაწილს ყოველ საღამოს ვატან ცეკვას, როგორც ქარს... მაგრამ გულის მოუშუშებელი დარდი ვინ განმიქარვოს, ნახვა-მიახლების სურვილი როდისღა ავისრულო?

ისევ თვალწინ დაუდგა მშობლიური მხარე, მაჭახელი კარმიდამო. პანტა, საყვარელი პანტაც კი, რომლის ტოტებიდან ქვეყნიერებას გადასცქეროდა. რას იფიქრებდა, თუ ხილული ჰორიზონტი ამ სიგრძე-სიგანეზე გაიწევდა, თუ ბედი ასე შორს გადაისვრიდა...

სადა ხარ, ნიავო. მშობლიურო ნიავო. პანტას რომ ეხვეოდი, თმას რომ მიწეწდი?.. ამ სიშორეზე შენც ვერ მობედავდი. შენ უფრო ერთგული გამოდექი ჩემი საყვარელი პანტისა... შენ გბაძავდი, ნიავო, შუმპარობაში და ამ გატაცებამ, აჰა, სად მომიყვანა, რაოდენ შორს აღმოვჩნდი შენგან! ნუ შემიძულებთ, მშობლიურო პანტავ, გეხვეწები შენც, ჩემო ალერსიანო ნიავო... თუ მუხთალ ხვედრს რასმე გამოვტაცებ, ისევ თქვენთვის... თუ დიდებამ რამე მიბოძა, თქვენვე დაგიბრუნებთ, თქვენს ფერხთით გავაფენ...

მოუნდა ვისმე გასაუბრებოდა. ყველა ეს ფიქრი და აზრი, აღტაცება და გულისტკივილი გაეწდო. სურვილმა დაიმორჩილა, ჭაღალდი ამოიღო და მისი არსებიდან განუყრელ მეგობარს გული გაუხსნა:

„... თუ თავის ქებად არ ჩამომართმევ, გეტყვი, რომ ახლა მთელი არტისტული საზოგადოება პარიზისა ჩემზე ლაპარაკობს. აგერ ერთი თვეა, რაც ვთამაშობ პანტომიმაში. გამარჯვება აღემატება ყოველ ჩემს მოლოდინს. ვთამაშობ ცნობილ ქორეოგრაფთან, რომელიც თვითონაა თეატრის დირექტორი. აგერ ექვსი წელია, რაც სცენაზე არ გამოსულა, რადგან შესაფერისი პარტნიორი არტისტი ქალი ვერ ეპოვნა. ახლა ცეკვავს ჩემთან ერთად და მთელი პარიზი მოკვაწყდა. ბევრმა გამომცემლობამ დაბეჭდა ჩემი პორტრეტი. ყველგან მიწოდეს დიდებული ქართველი მოცეკვავე“. ახლახან ერთმა ჟურნალმა მთხოვა დამეწერა რაიმე მშობლიურ ენაზე პორტრეტზე დასაბეჭდად. შენ გგონია დავიბენი? მაშინვე დავწერე:

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ...“

იგრძნო, რომ გულს მოაწვა რაღაც მძიმე, გამთანგავი, და შემოჩვეულ დარდსა და სევდას რომ გამკლავებოდა, ისევ თავის პანტას უხმო, ჯადოსნურ პანტას, ხეთა მოდგმაში აბუჩად აგდებულს, აქ, შორეულ პარიზში კი საოცნებოდ გამხდარს, გამამხნევებელსა და მფარველს.

„...როდესაც დაიბეჭდება, ჟურნალის ნომერს გამოგიგზავნი, არ დაგავიწყდეს, ჩამოკიდე იგი ჩვენს პანტაზე“.

რატომღაც ეწყინა, საყვარელი, ერთგული პანტა ასე რომ გააქილიკა. და გულმა გადმოღვარა მისდამი ჰიმნი:

„ახ, ჩვენო ძვირფასო პანტა! რამდენი უდარდელი დღენი დავლიეთ ჩვენ იმის ჩრდილში. რა შორს მეჩვენება ახლა ის დრო! ნუთუ ჩვენ ვიყავით მაშინ?.. ერთი მოდგმა მისდევს მეორეს და როგორც ჩრდილი, გადადის ჩრდილში. ვინ იცის, იქნებ ოდესმე ჩვენი შვილიშვილი წაიკითხავს ჩემს ბიოგრაფიას და მადლობას ეტყვის ჩვენს პანტას. განა იქ არ შევეჩვიე თავდაპირველად ფეხშიშვლობას? რამდენი წყვილი ფეხსაცმელი დამიგლეჯია იქ, დედა-ჩემის სამწუხაროდ! აბა რას ვიფიქრებდით, რომ მწუხარება მეტია ცხოვრებაში...“

• • •

მალე დაივიწყა პარიზმა.

სიმშვენიერესთან ერთად გაჰქრა სცენა, დიდება...

ხვედრმა არგუნა ის, რისიც ეშინოდა: მარტოდ ყოფნა პატარა პროვინციულ ქალაქში და იმის განცდა, რომ შენს არსებობას „ან ღიმილით შესცქერიან, ან ისეთ სახეს იღებენ, თითქოს არაფერი იცოდნენ“.

დავიწუებას მიეცა „საოცარი ქალი საქართველოდან“.

სამაგიეროდ როდი დამცხრალა გენია ნიჭთა საოცრების მზრახველი ხალხისა.

პარიზი კიდეც ერთხელ შეატორტმანა ქართული ცეკვის გრიგალმა.

1957 წელი...

„გასაოცარი მოცეკვავენი საქართველოდან...“

„განუმეორებელი ამბავი... ანგარიში დაიკარგა. იმდენჯერ აიხადა ფარდა...“

აღფრთოვანებულ პარიზელთა შორის იჯდა 72 წლის მოხუცი ქალი.

იგი ტაშს არ უკრავდა.

იგი ტიროდა.

ამ დიდების ნაწილი თითქოს მასაც ეკუთვნოდა.

მარტო ამისათვის როდი ტიროდა.

სული სამშობლოს რომ ვერ მიაბარა, ეს ატირებდა.

მედეა ჯაფარიძე — ანა ფრანკი

მსახიობის ერთი როლი



ჩ. არაბული, ზ. გორგიძე, ე. შათირიშვილი და სხვები ტელევიზიას სთხოვენ განმეორებით გადმოსცეს გორის თეატრის სპექტაკლი „ანა ფრანკი“.

მედეა ჯაფარიძის შემოქმედებითი გეგმები კიდევ უფრო საინტერესოა. მსახიობი მიღწეულს არ სჯერდება. ის ეძებს ახალ ფერებს, ახალ გამომსახველობითს საშუალებებს და იმედია მალე ჩვენს მაყურებელს გაახარებს ახალი შემოქმედებითი გამარჯვებით.

ნანა ჯაფარიძე.

დიდი მსახიობი მოქანდაკეს ჰგავს, რომელიც თავის როლს ოსტატობით ძერწავს, ანიჭებს მას ხანგრძლივ სიცოცხლეს. აქტიორს შემოქმედებით გალერიაში ის სახე იკავებს ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს, რომელიც მაყურებელთა ფართო სამჯავროზე აღიარებას მოიპოვებს, ადამიანებს მოუხმარება სამყაროს შეცნობასა და ცხოვრების სიძნელეთა დაძლევაში. შთაუნერგავს რწმენას სიკეთისადმი. ასეთ სახეთა რიცხვს ეკუთვნის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის **მედეა ჯაფარიძის** მიერ გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე განხორციელებული ანა ფრანკი.

...კარგა ხანია მიწყდა მეორე მსოფლიო ომის ექო. მაიტჰაუზენში, ჰაიდამაკში, ოსვენციმში ძალიონობით დაფერფლილი სიცოცხლე ადამიანებს მოგვაგონებს, რომ თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ არა მარტო დაღუპულთა ხსოვნას, არამედ უღრუბლო ცას...

ანა ფრანკი — პატარა ებრაელი გოგონა, რომელსაც უყვარდა სიცოცხლე, ადამიანები და სამყაროს უყურებდა ფართოდ გახელილი თვალებით... დაიღუპა საკონცენტრაციო ბანაკში ჯალათის ხელით. მან დაგვიტოვა გასაოცარი დღიურები — თავისი ხანმოკლე, მაგრამ დიდი სიცოცხლის რამდენიმე ფურცელი. ის რაღაცით ჰგავდა ჯარისკაცის უხუში ჩექმის ქვეშ გათელილ ყვავილს... მედეა ჯაფარიძემ პირველად ქართულ სცენაზე გააცოცხლა ანა ფრანკის რთული სახე. მსახიობს სხვადასხვა დროს ბრწყინვალედ უთამაშნია კლეოპატრა, ჯულიეტა, გულსუნდა, ელიზა დულიტლი, ჭრიჭინა, ქეთო... ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული როლები.

გორის ერისთავის სახელობის თეატრში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტმა ნუგზარ ლორთქიფანიძემ დადგა კ. გუდრიჩისა და ა. ჰაკეტის პიესა **„ანა ფრანკი“**. წარმოდგენაში არეს მახვილგონიერი მიზანსცენები, ლაკონიური რეჟისორული შტრიხები. საერთოდ სპექტაკლის გადაწყვეტა მაღალი შეფასების ღირსია, ადამიანების ხასიათები მოცემულია ფართო პლანით. ამ რთულ, უაღრესად დაძაბულ სიტუაციაში სპექტაკლის გმირები ჩრჩებიან მომხიბვლელნი და ძლიერნი, თუმცა ზოგჯერ თავს იჩენს ხოლმე ადამიანური სისუსტე. ვიღაცას ნერვებიც უმტყუნებს, მაგრამ ეს მხოლოდ წუთით...

მედეა ჯაფარიძე ანა ფრანკს წარმოგვიდგენს, როგორც სიცოცხლისმოყვარე, ჭკვიან, ჰუმორით აღსავსე პოეტურ გოგონად. რომლის ყოფა სხვენის ბნელი კედლებით არის შემოფარგლული. ის მაინც ახერხებს ამ დამუხტულ ატმოსფეროში შეიტანოს სიმშვიდე, სიხარული, ბედნიერება. მისი ანა არა მარტო მოწიბლავი გოგონაა, არამედ მასში არის რაღაც ღრმად ადამიანური, იგი არის ასაკისთვის უჩვეულოდ სერიოზული და ჭკვიანი. საერთოდ სპექტაკლის ყველა მონაწილე გვახარებს მაღალი პროფესიონალიზმით და სცენური ცხოვრების სიმართლით.


ჩვენ სპექტაკლის მოკლე დახასიათების შემდეგ გაგაცნობთ რამდენიმე წერილს, რომლებიც საქართველოს ტელევიზიის მისამართით მოვიდა. საქმე იმაშია, რომ გორელთა სპექტაკლი „ანა ფრანკი“ ამას წინათ წარმოდგენილი იქნა თბილისში და მოეწყო მისი ტელეტრანსლაცია.

ერთ-ერთ წერილში მასწავლებელი. ამჟამად პენსიონერი ვ. საფრონოვა წერს: „ამ რამდენიმე ხნის წინ ჩავრთე ტელევიზორი, აჩვენებდნენ გორის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლს „ანა ფრანკს“. მთავარ როლს ასრულებდა. სპექტაკლმა მიმიზიდა... მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა სრულყოფილად არ ვიცი და შვილიშვილებიც სპექტაკლის ყურებას არ მაცლიდნენ, უცებ აღმოვჩნდი ამ შესანიშნავ წარმოდგენის ტყვეობაში, და, რაც მთავარია, ბრწყინვალე მსახიობის მედეა ჯაფარიძის თამაშმა ამაღელვა. არის ჩვენს ირგვლივ ხანდახან ისეთი ადამიანები და სრულყოფილი მომენტები, რომელთა რეალურობაში ხანდახან ეჭვი გვეპარება. მე მგონია ძნელია იპოვო სიტყვები, რომ აღწერო ის დიდი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა სცენამ ანასა და პიტერს შორის. პირველი წმინდა კოცნა. ეს დიდებული იყო. როცა მედეას უყურებ, გინდა დაივიწყო ყველა არასასიამოვნო წვრილმანი ცხოვრებაში, გინდა იყო კეთილი და დიდსულოვანი“.

მეორე ავტორი თ. ამაშუკელი გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებას სპექტაკლს „ანა ფრანკზე“ და დაძენს: „როცა მედეა ჯაფარიძეს ამ წარმოდგენაში უყურებთ, რწმუნდებით ამ მსახიობის მხატვრული ტალანტის ზემოქმედების უდიდეს ძალაში. მადლობა საქართველოს ტელევიზიას, რომ ასეთი კარგი სპექტაკლის ტრანსლაცია მოაწყო. ასეთი წარმოდგენები ახალგაზრდებზე უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს, ვიდრე ათასი რჩევა — დარიგება...

ბუნების საოცრებანი

კაცხის სვეტი



მრავალრიცხოვან ცნობისმოყვარესა და ტურისტს იზიდავს „კაცხის სვეტი“, რომელიც 94 მეტრზე აღმართულა ჭიათურის რაიონის სოფელ კაცხის მახლობლად. ქვის ეს სვეტი აგრეთვე საინტერესოა იმითაც, რომ მის თავზე შემორჩენილია საკულტო შენობის ნანგრევები. თვითონ სვეტი ყოველმხრივ მიუდგომელია.

სურათებზე: კაცხის სვეტი; საკულტო შენობის ნანგრევები სვეტის თავზე.



ტკბილეულის ფაბრიკა

რამდენიმე ათეული სორტის ნამცხვარს, ტორტს, ღვეზელს გამოუშვებს **ჩვენი ქვეყნის ერთადერთი** სპეციალიზებული საწარმო — თბილისის ფქვილის ნაწარმის საკონდიტრო ფაბრიკა, რომლის პროექტს ადგენენ საქართველოს კვების მრეწველობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტები (ავტორები — მთავარი ინჟინერი ა. ლორია, არქიტექტორი გ. განჯელაშვილი).

... ეკლარის ქვით მოპირკეთებული ოთხსართულიანი შენობა მოთავსდება საპარფიუმერიო ფაბრიკა „ივერიის“ მეზობლად. საწარმოს საამქროები აღიჭურვება საწარმოო პროცესების ტექნიკური კონტროლის, ავტომატური რეგულირების, სიგნალიზაციისა და მართვის აპარატურით. ყოველწლიურად ფაბრიკა გამოუშვებს 7,5 ათას ტონა საკონდიტრო ნაწარმს.

საწარმოს გვერდით განზრახულია კაფესა და საკონდიტრო მაღაზიის მშენებლობა.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრმა მაღალი შეფასება მისცა ქართველ დამპროექტებელთა ნამუშევარს.

[-10] 23/61

120 ათასი დამსვენებელი

აჭარის კურორტებზე


ბათუმი. მზიურ აჭარას სამართლიანად უწოდებენ ჯანმრთელობის კერების მხარეს. მის შავი ზღვის სანაპიროზე და მაღალმთიანეთში მდებარეობს კურორტები ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური, ცისკარა და ბეშუმი. თვით აჭარის დედაქალაქი ბათუმიც კი საერთოდ აღიარებული ქალაქი-კურორტია.

27 საუკეთესო სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლში, ტურისტულ ბაზებში, პიონერთა ბანაკებში ისვენებს და მკურნალობს ასეულ ათასობით ადამიანი. საგულისხმოა, რომ მეტი წილი ჯანმრთელობის კერები მთელ წელიწადს მუშაობენ, მათ შორისაა ქობულეთის კარდიოლოგიური სანატორიუმი, მახინჯაურის გოგირდის აბაზანების პანსიონატი, თბილი ზღვის აბაზანები ბათუმსა და ქობულეთში.

ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ წლევანდელ საკურორტო სეზონს სანატორიუმებისა და დასახვენებელი სახლების მუშაკთა კოლექტივები. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კაპიტალურად შეკეთდა დასასვენებელი სახლები „ციხისძირი“ და „მეცნიერება“, პანსიონატი „გონიო“, თბილი ზღვის აბაზანები ბათუმში, ქობულეთში მთავრდება პანსიონატ „ქარიშხალას“ კლუბის მშენებლობა. ყოველივე ეს გააკეთა აჭარის პროფკავშირთა კურორტების მართვის საბჭოს შემკეთებელ-სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა, რომელმაც სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოიპოვა პირველი პრემია და პროფკავშირთა კურორტების მართვის ცენტრალური საბჭოსა და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მიმდინარე საკურორტო სეზონს აჭარის სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, ტურისტულ ბაზებსა და პიონერთა ბანაკებში შვებულებასა და არდადეგებს გაატარებს 120 ათასზე მეტი კაცი.

◆



...მეცხვარე მიდის მთაზედა.

ფოტოეტიუდი ს. კილაძისა.

დაგეძებენ, მოგელიან

ვლასი ვასილის-ძე სვანაძეს, დაბადებულს 1902 წელს ჭუთაისის რაიონის სოფელ საყულიაში. ეძებენ და — მატრონა ვასილის ასული, ძმა — ეძებენ ვასილის-ძე სვანაძეები.

ვლასა მიხეილის-ძე ღაჟონიას (ხაჟონიას), დაბადებულს 1907 წელს მახარაძის (ქოფ. ოზურგეთის) რაიონის სოფელ დვაბზუში, ეძებენ მეუღლე — ელიჩკა, შვილები — ამალია და ლამარა მიხეილის ასული ღაჟონიები.

სურათებზე: ვ. სვანაძე (მარცხნივ), ვ. ღაჟონია (მარჯვნივ).





ბულგარეთში, ფესტივალზე

ბულგარეთში გაემგზავრა მ. კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი.

გამგზავრების წინ ჩვენი კორესპონდენტი ეწვია აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილეს, დელეგაციის ხელმძღვანელს ა. მახარაძეს და სთხოვა მოეთხრო ანსამბლის გეგმებსა და პერსპექტივებზე.

— ქალაქ ბურგასში ეწყობა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პოლონეთის, უნგრეთის, სირიის, კვიპროსის, ბულგარეთის მხატვრული კოლექტივები. ამ დიდ ფორუმში საბჭოთა კავშირიდან მიწვეულია მხოლოდ ჩვენი ანსამბლი.

დიდი და სახელოვანი ეწყება განვლო მ. კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა. წლითიწლობით მდიდრდება და მრავალფეროვანი ხდება მისი რეპერტუარი. ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გაითქვეს სახელი ქართულმა ომახიანმა სიმღერებმა და ცეკვებმა. 1960 წელს ანსამბლი რამდენიმე თვეს საგასტროლოდ იყო არაბეთის ქვეყნებში, ანსამბლმა შორს ვაიტანა ქართული ხელოვნება და კულტურა.

უკანასკნელ წლებში ანსამბლის კოლექტივმა სიმღერითა და ცეკვით შემოიარა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკები, ჩვენი ქვეყნის უდიდესი ქალაქები მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი... ათასობით მაყურებელი აღტაცებით უყრადა ღაშს ქართული ხელოვნების წარმომადგენლებს. ეს იყო ძმობისა და მეგობრობის, ქართული ხელოვნების დიდი დემონსტრაცია.

ანსამბლმა საერთაშორისო ფესტივალისათვის სპეციალურად მოამზადა ბულგარული სიმღერა და ცეკვა. რეპერტუარში ძირითადად არის ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

ფესტივალზე აჟღერდება ქართული ხალხური სიმღერები „შენ ხარ ვენახი“, „დილა არის“, „სულიკო“, „ცოცნობდეს“, „სიხარული“, „ჩემი ნათლის დედაო“...

რეპერტუარში არის ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები რ. ლალიძის „სიმღერა თბილისზე“, ს. ბობოხიძის „სიმღერა საქართველოზე“, ა. ჩიმაკაძის „ჩვენ ვუხმობთ გულმართალ ადამიანებს“, ზ. ფალიაშვილის ცეკვას კუპლეტები ოპერა „დაისიდან“ და სხვ.

ფესტივალის ეთუოდ დაამშვენებს ქართული ცეკვები „ვანდაგან“, „ხორუმი“, „ლაზური“, „სვანური“, „საზეიმო“ და მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „ქართული ქორწილი“.

დელეგაციაში 65 კაცია. ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. ჩხიკვიშვილი, დირიჟორი — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. კილაძე, მთავარი ქორეოგრაფი — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ე. ნაბაძე, ანსამბლის დირექტორი — აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი პ. სულაბერიძე.

ფესტივალის შემდეგ ჩვენი ანსამბლი მიწვეულია ქალაქ ბლაგოევგრადში. როგორც ცნობილია, რამდენიმე წელია აჭარის მშრომელებს მტკიცე მეგობრობა აკავშირებს მოძმე ბულგარეთის ბლაგოევგრადის ოლქის მშრომელებთან.

ბლაგოევგრადში ანსამბლი რამდენიმე კონცერტს გამართავს. მოეწყობა შეხვედრები მუშებთან, შემოქმედებით ინტელიგენციასთან.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

ᲛᲝᲛᲬᲘᲡᲛᲘᲜᲔᲗ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30.83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲒᲐᲛᲡᲪᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 25.